

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს

2017 წლის 12 აგვისტოს

დადგენილება № 2544

გამოკითხვის წესით

ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე
შემუშავებული პროფესიული
საგანმანათლებლო პროგრამებისა
და მათი ხელმძღვანელების
დამტკიცების შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის, სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტების მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათების საფუძველზე დამტკიცდეს, ავტორიზაციის მიზნით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები და მათი ხელმძღვანელები:

- „მაღალი ძაბვის ელექტრომექანიკოსი“ - IV საფეხური (70 კრედიტი) - ხელმძღვანელი ნატალია კერესელიძე.
- „მექანიკის ინჟინერიის ტექნიკოსი“ – V საფეხური (120 კრედიტი) - ხელმძღვანელი გივი ხვიჩია.
- „მექატრონიკის ტექნიკოსი“ - V საფეხური (120 კრედიტი) - ხელმძღვანელი - ვაჟა ქირია.
- „სამრეწველო ავტომატიზაციის ტექნიკოსი“ - V საფეხური (120 კრედიტი) - ხელმძღვანელი - ია მოსაშვილი.

დადგენილებას თან ერთვის ფაკულტეტების საბჭოს სხდომის ოქმებიდან ამონაწერები (იხ. დანართი).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი

გ. სალუქვაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს
2017 წლის 12 აგვისტოს დადგენილება №2544-ის დანართი

სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის საბჭოს

სხდომის ოქმიდან N5

11 აგვისტო, 2017 წელი

მოისმინეს: სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მანანა მოისწრაფიშვილის ინფორმაცია მოდულური პროფესიული პროგრამების „მექატრონიკა“ და „მექანიკის ინჟინერიის ტექნიკოსი“ ავტორიზაციაზიისთვის მზადების შესახებ. მან ფაკულტეტის საბჭოს წევრებს გააცნო პროგრამების შინაარსი, მოცულობა კრედიტებში და ამ პროგრამით მისაღწევი შედეგები. მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილი მოდულური პროფესიული პროგრამები შეესაბამება ფაკულტეტის პროფილს და ფაკულტეტს გააჩნია ადამიანური და მატერიალური რესურსი წარმატებით განახორციელოს ისინი. მან ასევე დაასახელა პროგრამების ხელმძღვანელები:

მოდულური პროფესიული პროგრამის „მექატრონიკა“ ხელმძღვანელად დაინიშნოს ვაჟა ქირია;

მოდულური პროფესიული პროგრამის „მექანიკის ინჟინერიის ტექნიკოსი“ ხელმძღვანელად დაინიშნოს გივი ხვიჩია.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა მანანა მოისწრაფიშვილმა სთხოვა ფაკულტეტის საბჭოს მხარი დაეჭირათ მოდულური პროფესიული პროგრამების „მექატრონიკა“ და „მექანიკის ინჟინერიის ტექნიკოსი“ ავტორიზაციაზიის მიზნით ფაკულტეტის საბჭოზე დამტკიცებისა და აკადემიურ საბჭოზე წარდგენისთვის, ასევე მათი ხელმძღვანელების დამტკიცება.

აზრი გამოთქვეს: ფაკულტეტის დეკანმა ო. გელაშვილმა, ემერიტუსმა პროფესორმა გ. ხვიჩიამ, ასოც. პროფესორებმა ნ. თოფურიამ და გ. მაისურაძემ.

დაადგინეს: წარედგინოს სტუ-ს აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად:

1. მოდულური პროფესიული პროგრამა „მექატრონიკა“ და ხელმძღვანელად დაინიშნოს ვაჟა ქირია;
2. მოდულური პროფესიული პროგრამა „მექანიკის ინჟინერიის ტექნიკოსი“ და ხელმძღვანელად დაინიშნოს გივი ხვიჩია.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

ო. გელაშვილი

საბჭოს მდივანი

გ. მაისურაძე

სწორია:

გ. მაისურაძე



ამონაწერი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის
საბჭოს სხდომის
ოქმი №9
2017 წლის 11 აგვისტო

სხდომას ესწრებოდნენ: ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის 199 საბჭოს წევრი.

- დღის წესრიგი:
1. პროფესიული მოდულური პროგრამის - „სამრეწველო ავტომატიზაცია“ განხილვა;
 2. მიმდინარე საკითხები.

მოისმინეს: ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსის ზ. ბაიაშვილის გამოსვლა. მან ისაუბრა ახალი პროფესიული მოდულური პროგრამის შესახებ „სამრეწველო ავტომატიზაცია“. აღნიშნულ მოდულურ პროგრამაზე მუშაობდა ქალბატონი ია მოსაშვილი განათლების სამინისტროს ხარისხის სამსახურთან ერთად. პროგრამა მომზადდა გერმანული ანალოგიური პროგრამების მსგავსად.

პროფესიულმა მოდულურმა პროგრამამ - „სამრეწველო ავტომატიზაცია“ გაიარა ეტაპები განათლების სამინისტროში ხარისხის სამსახურის შესაბამის სტრუქტურებში, დაიმსახურა დადებითი შეფასება და დამტკიცდა.

ჩვენი მიზანია აღნიშნული პროგრამა განხორციელდეს ჩვენს ფაკულტეტზე, კერძოდ, მართვის სისტემების დეპარტამენტის ბაზეზე. პროგრამის ხელმძღვანელი: ასოც. პროფ. ია მოსაშვილი.

კენჭისყრის შედეგად

დაადგინეს: იმს ფაკულტეტზე შემუშავებული ახალი პროფესიული მოდულური პროგრამა „სამრეწველო ავტომატიზაცია“, ხელმძღვანელი ასოც. პროფ. ია მოსაშვილი გაგაზავენოს სტუ-ს აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად. 199 - თანახმა, თავი შეიკავა - არც ერთმა, წინააღმდეგი - არც ერთი.

ინფორმატიკისა და მართვის
სისტემების ფაკულტეტის
საბჭოს თავმჯდომარე, პროფ.

თ. გლაშვილი

/ზ. წვერაიძე/

ინფორმატიკისა და მართვის
სისტემების ფაკულტეტის
საბჭოს მდივანი, ასოც. პროფ.



/ქ. კოტრიკაძე/

ამონაწერი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის
ფაკულტეტის საბჭოს 2017 წლის 11 აგისტოს სხდომის # 5 ოქმიდან

მოისმინეს: 1. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის პროფ. ნ. აბზიანიძის ინფორმაცია, რომელმაც აღნიშნა, რომ დამტკიცდა პროფესიული განათლების ჩარჩო დოკუმენტი „ელექტრობა“, რომლის მისანიჭებელი კვალიფიკაციები იქნება: მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ელექტრობაში/Third level of vocational qualification in electricity; მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ელექტრობაში/Fourth level of vocational qualification in electricity; მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია მექატრონიკაში/Fifth level of vocational qualification in mechatronics. ჩარჩო დოკუმენტის მიზანია შემუშავებული იქნას ისეთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას ელექტრობაში. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შესაძლებელია მომზადდეს კადრი დაბალი ძაბვის ელექტრობაში, მაღლი ძაბვის ელექტრობაში, მექატრონიკაში და რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობაში. პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა: მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციისათვის - საბაზო განათლება; მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციისათვის - სრული ზოგადი განათლება; მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციისათვის - სრული ზოგადი განათლება. დასაქმების შესაძლებლობებია: მესამე საფეხურის ელექტრობის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების შემთხვევაში პირი შეიძლება დასაქმდეს ნებისმიერ ორგანიზაციაში ელექტრულ დანადგარებისა და სხვა ელექტრულ აპარატურის მომსახურე პირად. გარდა ამისა დასაქმების პოზიციები შესაძლებელია იყოს: ელექტრიკოსი; ელექტროტექნიკური სისტემების მემონტაჟე; შენობის ელექტრიკოსი; მომმარაგებელ-ელექტრიკოსი; ელექტრო-მექანიკოსი; ელექტროგაყვანილობის და ფიტინგების დაყენება; განათების სისტემების

დაყენება; ხანძარსაწინააღმდეგო სიგნალიზაციის დაყენება; დამცავი სიგნალიზაციის დაყენება; ქუჩების განათების და ელექტრული სასიგნალო მოწყობილობების დაყენება; ასფრენ-დასაფრენი ბილიკების განათების დაყენება; მზის ენერჯის ელექტრული კოლექტორების დაყენება და სხვ. პროგრამა მომზადებულია მოდულური სისტემით. არის სართო ზოგადი და პროფესიული-დარგობრივი მოდულები. ავტორიზაციის მასალები მომზადებულია ინსტრუქციის შესაბამისად.

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა; ო.კილურაძემ; შ.ნაყებამ; გ.არაბიძემ; თ. ჯიშკარიანმა; თ.მუსელიანმა; ს.ნემსაძემ; ი.ბიჯამოვმა.

დაადგინეს: 1. ეთხოვოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს პროფესიული განათლების ჩარჩო დოკუმენტი „ელექტრობა“ შესაბამისად მომზადებული პროგრამის დამტკიცება ავტორიზაციაზე წარსადგენად.

საბჭოს თავმჯდომარე, პროფ.

გ.არაბიძე

საბჭოს მდივანი, პროფ.

ლ.ხუნწარია

